როგორ გავაუმჯობესოთ დისტანციური სწავლების ხარისხი სკოლის საბაზო საფეხურზე

მაგისტრანტების - ნინო ბატიაშვილი, მარიამ ტალახაძე, მარიამ კერესელიძე

სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ვარდენ ნიქაბაძე, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2020

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო ბატიაშვილი,

მარიამ ტალახაძე,

მარიამ კერესელიძე

3.07.2020

აბსტრაქტი

საქართველოს განათლების სისტემა კრიზისულ პერიოდში ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა - სწავლების პროცესი სრულებით დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. ტრადიციული საგაკვეთილო სივრცე უფრო მეტად პირისპირ სწავლების ტექნიკებითაა გაჯერებული, შესაბამისად, გადაუდებელ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ რიგი სირთულეები წამოჭრა სკოლებისათვის. ნაშრომის მთავარ მიზნად დაისახა, გამოვლინდეს დისტანციური სწავლებისას წარმოქმნილი ყველაზე მწვავე პრობლემები და დადგინდეს, როგორ შეიძლება ონლაინ გაკვეთილის გაუმჯობესება. მიზნის მისაღწევად, შევიმუშავეთ ონლაინ გაკვეთილის შეფასების სისტემა, როგორც ონლაინ სწავლა-სწავლების განვითარების საშუალება. შეფასების სისტემა შემუშავდა ტრადიციული გაკვეთილის შეფასების ჩარჩოს მოდიფიცირებისა და ჩარჩოზე დაყრდნობით ინსტრუმენტების შემუშავების გზით. შეფასების ახალი სისტემა განვიხილეთ მასწავლებლების ჯგუფთან. კვლევის ფარგლებში გამოვცადეთ შეფასების სისტემა და შედეგებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ შეფასების სისტემის შემდგომი განვითარებისთვის რეკომენდაციები. კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა სასარგებლო იქნება არა მხოლოდ გადაუდებელი დაშორებული სწავლების პირობებში დისტანციურად სწავლების გაუმჯობესებისთვის, არამედ, ონლაინ სწავლების კომპონენტების დანერგვის თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გადაუდებელი დისტანციური სწავლება, ონლაინ გაკვეთილი, უკუკავშირი, სკაფოლდინგი, რესურსების როლი ონლაინ სწავლებაში.

Abstact

Georgia's education system is facing new challenges during the current crisis - the teaching process has shifted to a completely remote mode. The traditional education is built more on face-to-face teaching techniques, so switching to emergency distance learning has created a number of difficulties for schools. The main goal of the paper is to identify the most acute problems arising from distance learning and to determine how online lessons can be improved. To achieve this goal, we have developed an online lesson evaluation system as a means of developing online learning-teaching. The evaluation system was developed by modifying the traditional lesson evaluation framework and developing tools based on the framework. We discussed the new assessment system with a group of teachers. As part of the study, we tested the evaluation system and based on the results, developed recommendations for further development of the evaluation system. The knowledge gained from the research will be useful not only in terms of emergency distance learning to improve the teaching process, but also in terms of introducing online learning components.

Keywords: Emergency distance learning, Online lesson, Feedback, Scaffolding, The role of the resources in online learning.

მადლობა

მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომელთა ჩართულობაც კვლევის წარმატებით განხორციელებასა და დასახული ამოცანების აღსრულებაში დაგვეხმარა. უწინარეს ყოვლისა, მადლობას ვუხდით პრაქტიკის კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ნათია ანდღულაძეს, გაწეული დახმარებისათვის, მენტორობისა და თანადგომისათვის. მადლობას ვუხდით კვლევის თანახელმძღვანელს - ფარცხანაყანევის #2 საჯარო სკოლის დირექტორს - ვარდენ ნიქაბაძეს, კვლევის ყოველ ეტაპზე გაწეული დახმარებისა და მოწოდებული ინფორმაციისათვის, სკოლასთან ჩვენი უწყვეტი კავშირის საშუალების მოწოდებისათვის. გარდა ამისა, მადლობას ვუხდით #2 საჯარო სკოლის პედაგოგებს, რომელთა მონაწილეობის გარეშე კვლევას ნამდვილად ვერ განვახორციელებდით და მოსწავლეებს, რომელთა ჩართულობაც კვლევის წარმატების ერთ-ერთი გასაღები იყო.